საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

გადაწყვეტილება

N გ-19-2/699
12/12/2019

699-გ-19-1-4-201912121212

შპს "რადიო იმედის" კერძო მაუწყებლობის №B50 ლიცენზიის მოდიფიცირებისა და კომისიის 2013 წლის 28 ოქტომბრის №641/6 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში ,,კომისია") აღნიშნავს, რომ კომისიას მიმართა შპს „რადიო იმედმა" (№შ-19-6/3753, 18.09.2019), მისი კუთვნილი მაუწყებლობის №B50 ლიცენზიის მოდიფიცირების თხოვნით. კერძოდ, შპს „რადიო იმედი" ითხოვს ქ. გორში და ქ. ზუგდიდში კუთვნილი კერძო მაუწყებლობის №B50 ლიცენზიით გათვალისწინებული სიხშირული რესურსის კენტი რიცხვით დაბოლოებული სიხშირეებით შეცვლას. როგორც წერილშია აღნიშნული ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს ბაზარზე მოიმატა ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოებული ავტომანქანების იმპორტმა. აღნიშნულ ავტომანქანებში რადიოსიგნალის მიღება ხდება კენტი რიცხვით დაბოლოებულ სიხშირეებზე. ეს გარემოება ლუწი სიხშირის მქონე რადიოსადგურისთვის წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას, კომპანია ექცევა არაჯანსაღ კონკურენტულ გარემოში, შესაბამისად იკლებს რადიოარხის რეიტინგი და კომპანიის შემოსავლები. ამდენად ობიექტურად შეიქმნა იმის აუცილებლობა, რომ მაუწყებელმა მოახდინოს სიხშირეების ცვლილება და ლიცენზიის მოდიფიცირება.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს "რადიო იმედი" ფლობს კერძო მაუწყებლობის №B50 ლიცენზიას, კომისიის 2013 წლის 28 ოქტომბრის №641/6 გადაწყვეტილებით განსაზღვრული შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;

ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;

გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: საერთო მაუწყებლობა;

დ) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული;

ე) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცია	პოლარიზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გაძლიერების კოეფიციენტი (დბ)
ქ. ბათუმი	100.1	FM	V	წრიული	1000	41°41'37"N 41°42'55"E	50	8

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

დედოფლის წყარო	104.7	FM	V	წრიული	1000	41°28'01"N 46°8'11"E	50	8
თელავის მუნიციპალიტეტი, ცივი	100.3	FM	V	წრიული	1000	41°52'13"N 45°24'35"E	35	8
დუშეთის მუნიციპალიტეტი, ფასანაური	103.7	FM	V	წრიული	100	42°21'01"N 44°41'49"E	25	6
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, გუდაური	100.5	FM	V	წრიული	100	42°29'20"N 44°30'02"E	25	6
სტეფანწმინდა	100.1	FM	V	წრიული	250	42°39'06"N 44°39'16"E	25	6
გორი	100.0	FM	V	წრიული	1000	42°01'56"N 44°02'51"E	120	8
დმანისი	105.1	FM	V	წრიული	1000	41°22'38"N 44°12'52"E	120	6
ახალქალაქი	101.3	FM	V	წრიული	1000	41°20'52"N 43°25'34"E	55	8
ახალციხე	101.5	FM	V	წრიული	1000	41°37'48"N 42°57'25"E	35	6
ბორჯომის მუნიციპალიტეტი, ბაკურიანი	105.5	FM	V	წრიული	100	41°44'08"N 43°33'13"E	20	6
ქუთაისი	100.9	FM	V	წრიული	2500	42°16'49"N 42°44'11"E	40	8
ჭიათურა	104.1	FM	V	წრიული	250	42°17'16"N 43°15'39"E	50	8
მარტვილი	100.7	FM	V	წრიული	250	42°25'49"N 42°23'38"E	25	6
ზუგდიდი	104.2	FM	V	წრიული	2500	42°24'48"N 41°49'05"E	20	6

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურების განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატების მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

ზ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურების ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურების მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომვლებით;”

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის აპარატის სპექტრისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი სამსახურეობრივი ბარათის (№19-10-2171 11/11/2019) თანახმად სიხშირეების შეცვლა შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ ქალაქებში ლიცენზიაში განსაზღვრული ყველა სხვა ტექნიკური პარამეტრის შენარჩუნებით. კერძოდ: ქ. გორში 100.0 მჰც-ის

ნაცვლად, შესაძლებელია 99.9 მჰც-ის გამოყენება, ხოლო ქ. ზუგდიდში 104.2 მჰც-ის ნაცვლად შესაძლებელია 104.1 მჰც-ის გამოყენება. სამსახურებრივ ბარათში ასევე აღნიშნულია, რომ ზემოაღნიშნული რადიოსიხშირეების კენტი რიცხვით დაბოლოებული რესურსით ჩანაცვლება არ ზღუდავს კომისიის 2017 წლის 30 აპრილის 227/22 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „87.5მჰც÷108მჰც სიხშირულ დიაპაზონში რადიომაუწყებლობის თავისუფალი სიხშირული რესურსის განაწილების შესახებ“ ამჟამად მოქმედ გეგმაში განსაზღვრული სიხშირული რესურსის გამოყენებას.

კომისია აღნიშნავს, რომ 2019 წლის 17 ოქტომბრის წერილით (Nგ-19-06/3095) კომისიამ შპს „რადიო იმედს“ ქ. გორში 100.0 მჰც სიხშირის ნაცვლად, შესთავაზა 99.9 მჰც-ის გამოყენება, ხოლო ქ. ზუგდიდში 104.2 მჰც-ის ნაცვლად 104.1 მჰც-ის გამოყენება; 2019 წლის 28 ოქტომბრის წერილით (№შ-19-6/4085), შპს „რადიო იმედმა“ თანხმობა განაცხადა ქ. გორში და ქ. ზუგდიდში კომისიის მიერ შეთავაზებული სიხშირეების გამოყენებაზე.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის 2019 წლის 14 ნოემბრის №გ-19-23/637 გადაწყვეტილებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს ”რადიო იმედის” კერძო მაუწყებლობის №B50 ლიცენზიის მოდიფიცირებისა და კომისიის 2013 წლის 28 ოქტომბრის №641/6 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის მიზნით. ზეპირი მოსმენის თარიღად განისაზღვრა 2019 წლის 12 დეკემბრის 15:00 საათი, ხოლო გადაწყვეტილების მიღების ვადად ზეპირი მოსმენის ჩატარებიდან 10 სამუშაო დღე.

კომისია აღნიშნავს, რომ 2019 წლის 12 დეკემბრის ზეპირი მოსმენის სხდომას არ ესწრებოდა შპს ”რადიო იმედის” წარმომადგენელი.

კომისია აღნიშნავს, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ლიცენზიის მოდიფიცირების საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) საქართველოს კანონმდებლობაში ან მაუწყებლობის სფეროს პრიორიტეტებში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა;

ბ) კომისიის ან ლიცენზიის მფლობელის დასაბუთებული მოთხოვნა ლიცენზიაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის თაობაზე.

ლიცენზიის, ამავე ლიცენზიის მფლობელის განცხადების საფუძველზე მოდიფიცირების მოთხოვნის შემთხვევაში, კომისია ხელმძღვანელობს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტით, რომლის შესაბამისადაც, აკრძალულია საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიის იმგვარად მოდიფიცირება, რომელიც გამოიწვევს ლიცენზიის სახეობის შეცვლას ან ლიცენზიით განსაზღვრული სამოქმედო ზონის სიდიდის ცვლილებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიამ ზეპირი მოსმენის სხდომაზე მიიჩნია, რომ ლიცენზიის მფლობელის მოთხოვნა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. კერძოდ, სახეზეა ”მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა: ლიცენზიის მფლობელის დასაბუთებული მოთხოვნა ლიცენზიაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის თაობაზე; ამავე დროს, შპს „რადიო იმედის“ კერძო მაუწყებლობის №B50 ლიცენზიის მოდიფიცირების შემთხვევაში არ დაირღვევა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი შეზღუდვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიამ ,,მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-9 პუნქტის, 45-ე მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე და 115-ე მუხლების შესაბამისად, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. მოდიფიცირდეს შპს ”რადიო იმედის” კერძო მაუწყებლობის №B50 ლიცენზია, შევიდეს ცვლილება კომისიის 2013 წლის 28 ოქტომბრის №641/6 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტის ე) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ე) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცია	პოლარიზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გაძლიერების კოეფიციენტი (დბ)
ქ. ბათუმი	100.1	FM	V	წრიული	1000	41°41'37"N 41°42'55"E	50	8
დედოფლის წყარო	104.7	FM	V	წრიული	1000	41°28'01"N 46°8'11"E	50	8
თელავის მუნიციპალიტეტი, ცივი	100.3	FM	V	წრიული	1000	41°52'13"N 45°24'35"E	35	8
დუშეთის მუნიციპალიტეტი, ფასანაური	103.7	FM	V	წრიული	100	42°21'01"N 44°41'49"E	25	6
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, გუდაური	100.5	FM	V	წრიული	100	42°29'20"N 44°30'02"E	25	6
სტეფანწმინდა	100.1	FM	V	წრიული	250	42°39'06"N 44°39'16"E	25	6
გორი	99.9	FM	V	წრიული	1000	42°01'56"N 44°02'51"E	120	8
დმანისი	105.1	FM	V	წრიული	1000	41°22'38"N 44°12'52"E	120	6
ახალქალაქი	101.3	FM	V	წრიული	1000	41°20'52"N 43°25'34"E	55	8
ახალციხე	101.5	FM	V	წრიული	1000	41°37'48"N 42°57'25"E	35	6
ბორჯომის მუნიციპალიტეტი, ბაკურიანი	105.5	FM	V	წრიული	100	41°44'08"N 43°33'13"E	20	6
ქუთაისი	100.9	FM	V	წრიული	2500	42°16'49"N 42°44'11"E	40	8
ჭიათურა	104.1	FM	V	წრიული	250	42°17'16"N 43°15'39"E	50	8
მარტვილი	100.7	FM	V	წრიული	250	42°25'49"N 42°23'38"E	25	6
ზუგდიდი	104.1	FM	V	წრიული	2500	42°24'48"N 41°49'05"E	20	6

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურების განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატების მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

2. დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციისა და ლიცენზირების ჯგუფს (ნ. ლორთქიფანიძე).

ა) სათანადო მონაცემების კომისიის სალიცენზიო რეესტრში შეტანა;

ბ) სალიცენზიო მოწმობის გაცემის უზრუნველყოფა;

გ) ლიცენზიის მოდიფიცირების თაობაზე ინფორმაციის სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გაგზავნის უზრუნველყოფა;

3. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (ო. ვოტ):

ა) აღნიშნული გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს „რადიო იმედისთვის“ გაგზავნა;

ბ) აღნიშნული გადაწყვეტილების კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.gncc.ge) გამოქვეყნება;

4. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი დამოწმებული ასლის შპს „რადიო იმედისთვის“ ჩაბარების დღიდან;

5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.N6) შპს „რადიო იმედისთვის“ ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;

6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების პირველი პუნქტის შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სპექტრისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტს (ლ. ლაშქარავა);

7. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე (პირველი და მე-3 პუნქტის გარდა) დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციისა და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი).

ელისო ასანიძე

წევრი

ვახტანგ აბაშიძე

წევრი

მერაბ ქათამაძე

წევრი

კახი ბექაური

თავმჯდომარე